,,შეთანხმებულია“

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის

რეგიონული და ახალგაზრდული ფეხბურთის

განვითარების განყოფილების უფროსი

გ. თამაზაშვილი

31 ივლისი 2024

,,ვამტკიცებ“

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის

პრეზიდენტი

გ. ცაავა

26 ივნისი 2024

თბილისის რეგიონის ,, ელიტ ლიგის“ ბავშვთა და ჭაბუკთა 2024 წლის ჩემპიონატების

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

1. მიზანი და ამოცანები

ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია;
საფეხბურთო გუნდებისთვის რეზერვების მომზადება;
საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდებისათვის პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევა;
გამარჯვებული გუნდების გამოვლენა.

2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

საფეხბურთო კლუბებს (გუნდებს) შორის შეჯიბრებას ხელმძღვანელობს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში თფფ), ჩემპიონატების ორგანიზაცია ევალება თფფ - ს საშეჯიბრო განყოფილებას; თამაშები ჩატარდება ქალაქის კეთილმოწყობილ სტადიონებზე, თფფ-ს მიერ დამტკიცებული კალენდრების მიხედვით.

3. მონაწილე გუნდები

თფფ-ს მიერ ორგანიზებულ ,,ელიტ-ლიგის" ჩემპიონატებში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საფეხბურთო სკოლების გუნდები. ,,ელიტ-ლიგის" ჩემპიონატები ჩატარდება 8 ასაკობრივ ჯგუფში: 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი ფეხბურთის რეგიონალური ფედერაციების თხოვნის საფუძველზე. ,,ელიტ ლიგის" ჩემპიონატებში დაშვებული იქნებიან სხვა რეგიონების საფეხბურთო გუნდები, რომლებიც აკმაყოფილებენ ,,ელიტ ლიგის" რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3.1. 2015 წელს დაბადებულთა გუნდების ჩემპიონატში გამარჯვებულები არ გამოვლინდება

4 ჩემპიონატების ფორმატი

ჩემპიონები და პრიზიორები სხვადასხვა ასაკებში, გამოვლინდებიან ტრადიციული ორეტაპიანი და ორწრიანი ტურნირებით. ყველა კონკრეტულ ასაკში ჩემპიონატის ფორმატი მითითებული იქნება თფფ-ს ოფიციალურ საიტზე, (tbff.com.ge.) გათამაშების ცხრილთან და კალენდართან ერთად.

4.1. მატჩების ხანგრძლივობა : 2008 - 2009 --- 80 წთ; 2010 – 70 წთ; 2011 - 60 წუთი; 2012,2013, 2014 – 50 წუთი; 2015 – 40 წთ. შესვენება 10 წუთი;

4.2. ჩემპიონატში ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება - 3 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა;

4.3. ყველა ეტაპზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგნაირი პრიორიტეტული პრინციპით:

---- უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრების შედეგები

--- მოგებათა მეტი რაოდენობა;

--- ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

--- გატანილი ბურთების მეტი რაოდენბა;

--- სტუმრად გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;

-- თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა;

4.4. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია, შეხვედრების დაწყებამდე 45 წუთის ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს არა უმეტეს 20 მოთამაშისა. ყოველ ფეხბურთელს ოქმში შეყვანილი ნომრის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომერი მაისურზე. სავალდებულოა ყველა ფეხბურთელის ბარათების ლამინირება.

4.5. თამაშის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი.

4.6. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი. მატჩის ოქმში შეყვანილი უნდა იყვნენს ოფიციალური პირები (გვარი, სახელი, თანამდეობა.) მწვრთნელი, ექიმი, სათადარიგო ფეხბურთელები (9 მოთამაშე), რომლებიც თამაშის დროს სხდებიან სათადარიგოთა სკამზე. სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში. მინდვრიდან გაძევებულ ფეხბურთელს სათადარიგოთა სკამზე ყოფნა ეკრძალება;

4.7. მატჩის მსაჯები ვალდებულები არიან, შეამოწმონ გუნდების ფეხბურთელთა მოთამაშის ბარათები. ის მოთამაშე, რომელსაც მოთამაშის ბარათი არ გააჩნია, მატჩზე არ დაიშვება. უშუალოდ მატჩის დაწყების წინ და ფეხბურთელის შეცვლის დროს მსაჯთა ბრიგადა ვალდებულია, მოახდინოს მოთამაშის ბარათის ფოტოსურათისა და მოთამაშის ვიზუალური შემოწმება.

4.8. აკრძალულია ერთი ფეხბურთელის ორ სხვადასხვა გუნდში თამაში.

4.9. გუნდებს უფლება ეძლევათ თავისივე კლუბის 3 ფეხბურთელის დამატებისა ,,ჭაბუკთა ლიგის U 15" დან და ,,თბილისის ლიგიდან ",(ჯამში 6 ფეხბურთელი) თუ ფეხბურთელის ასაკი შეესაბამება იმ გუნდის ასაკს, სადაც აპირებს ფეხბურთელი თამაშს.

4.10. გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თფფ-ს განაცხადის შეტანის დროს. მსაჯები აგრეთვე ეცნობიან მოთამაშეთა ფორმის ფერებს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, მსაჯების მოთხოვნით ფორმა უნდა გამოიცვალოს მასპინძელმა გუნდმა. მოედანზე მყოფ ფეხბურთელებს ეკრძელებათ წვივსაფრის გარეშე თამაში;

4.11. ,,ელიტ ლიგაზე" მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია, თითოეულ თამაშზე მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 3 სათამაშო ბურთი;

4.12. მასპინძელი გუნდი ვალდებულია სტადიონზე იყოლიოს კვალიფიცირებული სამედიცინო პერსონალი, უზრუნველყოფილი ავტო ტრანსპორტით, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა;

4.13. მატჩის გადატანაზე და თარიღის შეცვლაზე გადაწყვეტილების მიღება ევალება თფფ-ს. გუნდების თხოვნა მატჩის თარიღის შეცვლაზე დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გუნდები მინიმუმ 3 დღით ადრე მატჩამდე შეთანხმდებიან მატჩის ახალ თარიღზე, უახლოეს სარეზერვო დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილებას მიიღებს თფფ.

4.14. ,,ელიტ ლიგის" ჩემპიონატებში ნებადართულია ფეხბურთელების შეცვლა. ნებისმიერი რაოდენობით. უკუშეცვლა ნებადართულია მხოლოდ 2012, 2013, 2014, 2015 წწ დაბადებულ ჭაბუკთა ჩემპიონატებში.

4.15. თფფ უფლება მოსილია ნებისმიერ დროს სკოლასთან (კლუბთან) შეთანხმების შემდეგ შეამოწმოს გუნდში მიმდინარე სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, სათანადო დოკუმენტაცია;

4.16. სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე;

4.17. გუნდებს შეუძლიათ, ოფიციალურად (მინიმუმ 3 დღით ადრე მატჩამდე თფფ - ში შემოტანილი წერილის საფუძველზე) მოითხოვონ თამაშების გადატანა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებებში გამოძახებულია მათი 5 ან მეტი ფეხბურთელი; ასევე თუ გუნდი მონაწილეობს ქვეყნის საზღვრებს გარეთ მიმდინარე ტურნირში.

4. 18. მატჩის დაწყებიოს დროს განსაზღვრავს თფფ.

4.19. მატჩის დაწყების დროის შეცვლა შეიძლება კლუბებს შორის შეთანხმებით პუნქტი 4.13 და თფფ-ს დასტურით.

5. გუნდების განაცხადების გაფორმება

5. 1. გუნდების განაცხადები თფფ - ში, უნდა წარმოადგინონ ჩემპიონატის პირველ მატჩამდე.

5.2. გუნდის განაცხადი მოწმდება საფეხბურთო სკოლის დირექტორის (პრეზიდენტის) ხელმოწერით და ბეჭდით, ასევე სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ბეჭდით. ან წარმოდგენილი უნდა იყოს ინდივიდუალური ჯანმრთელობის ცნობები.

5.3. გუნდის განაცხადები დგება 2 ეგზემპლარად. განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინონ საფეხბურთო სკოლის წესდების და რეგისტრაციის ასლები, ფეხბურთელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი პასპორტი ან პირადობის მოწმობა. (მათი არ ქონის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი).

5.4. გუნდიდან გუნდში მოთამაშის გადასვლა ნებადართულია ნებისმიერ დროს სეზონში ერთხელ 1 ოქტომბრამდე. განაცხადში ფეხბურთელების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 -ს.

5.5. ჩემპიონატში მონაწილეობის თანხა ,,ელიტ ლიგის" გათამაშებაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

2008 -------- 2011 წ. დაბადებულ ჭაბუკებში 2500 (ორიათას ხუთასი) ლარი.

2012 ---- 2014 წ. დაბადებულ ჭაბუკებში 1300 (ათას სამასი) ლარი.

2015 ---- წ. დაბადებულ ჭაბუკებში 1100 (ათას ასი) ლარი.

თფფ - ს საბანკო რეკვიზიტებია :

ა (ა) იპ. ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია

ს.კ. 202886519

ს.ს ,,ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი LBRTGE22

ანგარიშის ნომერი GE36LBO115112049422000

მონაწილეობის თანხა უნდა ჩაირიცხოს თფფს ანგარიშზე 2024 წლის სეზონის დაწყებამდე.

5.6. ფინანსური დავალიანების გამო, თფფ უფლებამოსილია მოხსნას გუნდი ჩემპიონატის ნებისმიერი ეტაპიდან.

5.7. თუ ტურნირებში მონაწილე გუნდები თფფ-სგან დამოუკიდებელი მიზეზებით მოიხსნებიან გათამაშებიდან, მონაწილეობის თანხა გუნდებს არ დაუბრუნდებათ.

5.8. გუნდებს უფლება აქვთ დაარეგისტრირონ ნებისმიერი ასაკის საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფეხბურთელები საერთაშორისო ტრანსფერის მიღების შესაბამისად.

5.9. გუნდების განაცხადების მიღება ნებადართულია ჩემპიონატის პირველ მატჩამდე.

6. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

2008 ---------- 2011 წ დაბადებულ ჭაბუკებს შორის -- 11 X 11 მოედნის ზომა - სიგრძე 90 – 110მ , სიგანე 45 - 70 მ, კარის ზომა 7.32 X 2.44

2012 – 2014 წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის -- 9 X 9 სიგრძე 60-70 მ, სიგანე 40-50 მ, კარები 5 X 2 .

2015 - წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის -- 7 X 7 სიგრძე 40 – 50 მ , სიგანე 25 – 35 მ, კარები 3 X 2.

7. მსაჯობა

7.1. აღნიშნულ ჩემპიონატებს მოემსახურებიან სფფ-სა და თფფ-ს მიერ რეკომენდირებული მსაჯები. მათი მომსახურეობის ხარჯებს აანაზღაურებს თფფ. რეგიონის გუნდები დამატებით აანაზღაურებენ მსაჯების ტრანსპორტირების ხარჯებს.

7.2. მსაჯი ვალდებულია, შეჯიბრების ტექნიკურ ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილების და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით, დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით და ამის შესახებ 24 საათის განმავლობაში თფფ-ში წარადგინოს მოხსენებითი ბარათი საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებით (მსაჯის მოხსენებით ბარათს თან უნდა ერთვოდეს გაძევებული ფეხბურთელის მონაწილის ბარათი), ხოლო მატჩის დროს მომხდარი საგანგებო შემთხვევის შესახებ მსაჯმა იმავე დღეს უნდა აცნობოს თფფ-ს ტელეფონით;

7.3. ექსტრემალური სიტუაციის გამო მატჩის დაწყების ან დაწყებული მატჩის შეწყვეტის საკითხს წყვეტს მატჩის მთავარი მსაჯი;

7.4. მსაჯი ვალდებულია, მატჩის დამთავრების თანავე თფფ- ს აცნობოს მატჩის შედეგი.

7.5. მსაჯი ვალდებულია, მატჩის დააფიქსიროს გუნდის თამაშზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს თფფ-ს.

7.6. მსაჯი ვალდებულია, მატჩის ოქმი მეორე დრეს წარმოადგინოს თფფ-ში.

7.7. 2008-2011 წ. ჩემპიონატებში თფფ დანიშნავს მსაჯთა დამკვირვებლებს.

7.8. 2012, 2013, 2014, 2015 წ დაბადებულთა ტურნირებში მეკარეს კარიდან ბურთის გათამაშება შეუძლიათ ხელით ან ფეხით თუ ბურთი დაფიქსირებულია მიწაზე.

8. საჩივრის შეტანის წესი

8.1. გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია, საჩივრის შემთხვევაში მატჩის დამთავრებისთანავე გააფრთხილოს მოწინააღმდეგე გუნდის ხელმძღვანელობა და მთავარი მსაჯი.

8.2. მატჩის შესახებ საჩივარი გუნდმა უნდა წარმოადგინოს თფფ-ში 24 საათის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი არ მიიღება. საჩივართან ერთად მომჩივანმა კლუბმა თფფ-ში უნდა შეიტანოს 200 ლარი, საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში თანხა დაუბრუნდება მომჩივან გუნდს.

9. სადისციპლინო სანქციები

9.1. გამოყენებული იქნება სფფ-ს მოზარდთა ლიგის სადისციპლინო კოდექსი. ცალკეული ინციდენტები (თუ მათ ექნებათ ადგილი) განსახილველად გადაეცემა სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტს.

10. დაჯილდოვება

10.1. ,, ელიტ ლიგის „ გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და თასებით.